შპს „კავკასუს კრედიტის“

საიდენტიფიკაციო კოდი: 400168643
გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

შპს „კავკასუს კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1.	სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
2.	ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება	4
3.	ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ	5
4.	ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ	5

1.	ზოგადი ინფორმაცია	6
2.	ანგარიშგების შესაბამისობა	6
3.	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
4.	ძირითადი საშუალებების და მათი სასარგებლო მომსახურების ვადა	9
5.	კლიენტებზე გაცემული სესხები და საეჭვო ვალების ანარიცხები	12
6.	ფული და ფულის ექვივალენტები	14
7.	საგადასახადო აქტივი	14
8.	მიღებული ავანსები (სესხების დასაფარად) და გადახდილი ავანსები	17
9.	მიმდინარე და გძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	17
10.	საპროცენტო ხარჯი	17
11.	საპროცენტო შემოსავალი	17
12.	სხვა შემოსავლები	18
13.	ხელფასები და ბონუსები	18
14.	ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	19
15.	ბალანსის შემდგომი მოვლენები	20

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2018 წელი	2017 წელი
საპროცენტო შემოსავალი	11	2167718.18	1268742.99
საპროცენტო ხარჯი	10	(342882.00)	(317595.00)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე		**1824836.18**	**951147.99**
კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ცვლილება	5	(319171.17)	(82306.48)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**1505665.01**	**868841.51**
სხვა შემოსავლები	12	1213448.40	702152.10
ხელფასები და ბონუსები	13	(253353.75)	(520553.58)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	14	(341603.85)	(604179.80)
სულ საოპერაციო ხარჯები		**2124155.81**	**446260.23**
მოგების გადასახადის გაუფასურების ხარჯი	7	53105.72	13830.48
საოპერაციო მოგება		**2071050.09**	**432429.75**

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება

	შენიშვნა	2018 წელი	2017 წელი
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	123,656.93	275,979.09
კლიენტებზე გაცემული სესხები	5	3,659,547.78	2,535,606.23
ძირითადი საშუალებები	4	27,377.82	32,944.36
გადახდილი ავანსები	8	8,999.00	8,190.90
გადავადებული საგადასახადო აქტივი	7	5,692.43	5,692.43
ზედმეტობა ბიუჯეტის მიმართ	7	0.00	6,369.38
გრძელვადიანი საგადასახადო აქტივი	7	475,977.80	121,101.04
საინვესტიციო ქონება	4	72,786.80	80,079.00
სულ აქტივები		**4,374,038.56**	**3,065,962.43**
ვალდებულებები			
მიღებული ავანსები (სესხების დასაფარად)	8	38,455.24	29,788.20
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	9	15,090.00	11,231.00
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	1,169,500.00	1,685,000.00
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები		**1,223,045.24**	**1,726,019.20**
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		846,535.00	1,106,535.00
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		2,304,458.32	233,408.23
სულ საკუთარი კაპიტალი		**3,150,993.32**	**1,339,943.23**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**4,374,038.56**	**3,065,962.43**

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

	2018 წელი	2017 წელი
გაუნაწილებელი მოგება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	233408.23	73978.48
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	2071050.09	432429.75
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0.00	(273000.00)
გაუნაწილებელი მოგება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2304458.32	233408.23

ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ

	2018 წელი	2017 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	371336.58	(1746356.70)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(8158.74)	81647.39
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(515500.00)	1569714.50
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(152322.16)	(94994.81)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	275979.09	370973.90
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	123656.93	275979.09

1. ზოგადი ინფორმაცია

ორგანიზაცია და მისი ოპერაციები:

შპს “კავკასუს კრედიტი დაარსდა სს „ჯორჯიან ინვესტის“ მიერ 2016 წლის 04 აპრილს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შემდგომში “ორგანიზაცია“), საიდენტიფიკაციო ნომრით 400168643. ორგანიზაცია თავის საქმიანობას წარმართავს სესხის გამცემი სუბიექტის სტატუსით და მას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი (“სებ“). ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობა მიკრო სესხების გაცემაა. ორგანიზაციის ფინანსური პროდუქტებია: ბიზნეს სესხები, ავტო სესხები და სამომხმარებლო სესხები. ფილიალის ყოველდღიურ საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს მმართველი, რომელსაც ნიშნავს ორგანიზაციის დირექტორი. ორგანიზაციის აქციების 100% წილის მფლობელია სს „ჯორჯიან ინვესტი“. სათაო ოფისთან ერთად, რომელიც მდებარეობს: საქართველოში, ქ. თბილისი კარტოზიას N8 კოპრ.6 ბ.3 -ში ორგანიზაციას გააჩნია 1 ფილიალი თბილისში (ვერა, კოსტავას ქ. 46/50) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2019 წლის 06 თებერვლიდან ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის N118 განკარგულებით ორგანიზაცია გახდა სესხის გამცემი სუბიექტი (სგს).

ცვლილებები კანონმდებლობაში, რომლებმაც ზეგავლენა მოახდინა ორგანიზაციის საქმიანობაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც 2018 წლის 1 სექტემბერიდან, სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 50 პროცენტს (ცვლილებამდე საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზღვარი შეადგენდა 100 პროცენტს).

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად. ორგანიზაცია თავის ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორც ეს საქართველოს კანონმდებლობით მოითხოვება. ორგანიზაციის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ორგანიზაციის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ორგანიზაციაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები (“SuperFin და CreditEngine“), რომლებიც უზრუნველყოფენ ოპერაციების სინთეზურ და ანალიზურ აღრიცხვას ბუღალტრული და ფინანსური ანგარიშების მიხედვით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე.

საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო“)

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, არამედ მისი უწყვეტი საწარმოო ფუნქციონირების უნარსაც.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ თავისი გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი სახსრები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სანდო შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული, ან მისაღები სარგებლით საანგარიშგებო წლის განმავლობაში ნარჩენ ძირითად თანხაზე, ყოველდღიური დარიცხვის პრინციპით, ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის ვადების გათვალისწინებით, ჯარიმის აღიარება ხდება საკასო მეთოდით, რეალურად საანგარიშგებო პერიოდში მიღებული ჯარიმის ოდენობით. სხვა შემოსავლები იხილეთ მე-13 შენიშვნაში.

ხარჯის აღიარება

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

კლიენტებზე გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან/და განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, შემდგომ გაზრდილია დარიცხული მისაღები სარგებლით და ბოლოს აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: - ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან - იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც, აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის გადაცემა მესამე პირზე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ორგანიზაცია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზირებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე

მოცულობას შორის. აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას, ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და აღიარდა დამფუძნებლის შენატანის რეალური ღირებულებით.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში.

3. ძირითადი საშუალებების და მათი სასარგებლო მომსახურების ვადა.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა (ამორტიზაციის) და გაუფასურების ზარალით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური ცვეთა.

სისტემატურ საფუძველზე წრფივი მეთოდით. ცვეთა (და ამორტიზაცია) ერიცხება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

ისტორიული ღირებულება	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლებში)
შენობა-ნაგებობები	10 – 30
კომპიუტერული და საკომუნიკაციო მოწყობილობები	3 – 5
სატრანსპორტო საშუალებები	3 – 6
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	3 – 5
კომპიუტერული პროგრამები	5 – 10

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები ან შენობის ნაწილი ან ორივე), რომელსაც ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით. საინვესტიციო ქონება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულების მოდელით რაც მოიცავს ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული ცვეთა. საინვესტიციო ქონების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს. კომპანიის საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია კლიენტებზე გაცემული ვადაგადაცილებული სესხების სანაცვლოდ დასაკუთრებული ქონებით.

2018 წელის ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონებს მოძრაობა						
შინაარსი	ცვეთის განაკვეთი	1 იანვრისთვის ძირითაი საშუალებები	შეძენა/ გასვლა	ძირითადი საშუალებების ღირებულება	წლის ცვეთა	ნარჩენი ღირებულება 31 დეკემბრისა თვის
უძრავი ქონება (მიწა)	0%	19070	0	19070	0	19070
უძრავი ქონება (გარდა მიწისა)	5%	61009	-4465	56544	2827.2	53716.8
კომპიუტერული ტექნიკა/აღჭურვილობები	20%	9944.03	1129.07	11073.1	2214.62	8858.48
ავეჯი და ინვენტარი	20%	23000.33	148.85	23149.18	4629.84	18519.34
სულ		113023.36	-3187.08	109836.28	9671.66	100164.62

2017 წელის ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების მოძრაობა						
შინაარსი	ცვეთის განაკვეთი	1 იანვრისთვის ძირითაი საშუალებები	შეძენა/ გასვლა	ძირითადი საშუალებების ღირებულება	წლის ცვეთა	ნარჩენი ღირებულება 31 დეკემბრისათ ვის
უძრავი ქონება (მიწა)	0%	0	19070	19070	0	19070
უძრავი ქონება (გარდა მიწისა)	5%	0	64220	64220	3211	61009
კომპიუტერული ტექნიკა/აღჭურვილობები	20%	9124.56	3305.48	12430.04	2486.01	9944.03
ავეჯი და ინვენტარი	20%	27101.41	1649	28750.41	5750.08	23000.33
სულ		36225.97	88244.48	124470.45	11447.09	113023.36

4. კლიენტებზე გაცემული სესხები და საეჭვო ვალების ანარიცხები

კომპანია აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს.

კლიენტებზე გაცემული სესხები	2018 წელი 31 დეკემბერი	2017 წელი 31 დეკემბერი
სესხის ძირი	4085623.84	2705787.24
დარიცხული პროცენტი	121558.89	119400.76
	4207182.73	**2825188.00**
აკუმულირებული საეჭვო ვალების ანარიცხები	547634.95	289581.77
სულ გაცემული სესხები	**3659547.78**	**2535606.23**

2018 წელი 31 დეკემბერი	ერთეული (ლარში)
საეჭვო ვალის ანარიცხები 1 იანვრისათვის	289581.77
ანარიცხები საეჭვო სესხებზე	**319171.17**
სესხების ჩამოწერა	-383134.52
ჩამოწერილი სესხების აღდგენა	322016.53
საეჭვო ვალის ანარიცხები 31 დეკემრისთვის 2018 წელი	547634.95

2017 წელი 31 დეკემბერი	ერთეული (ლარში)
საეჭვო ვალის ანარიცხები 1 იანვრისათვის	34743.12
ანარიცხები საეჭვო სესხებზე	**82306.48**
სესხების ჩამოწერა	-73299.17
ჩამოწერილი სესხების აღდგენა	245831.34
საეჭვო ვალის ანარიცხები 31 დეკემრისთვის 2017 წელი	289581.77

5. კლიენტებზე გაცემული სესხები და საეჭვო ვალების ანარიცხები

გაცემული სესხების შესახებ ინფორმაცია ვადაგადაცილების მიხედვით 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობთ:

2018 წელი 31 დეკემბერი	რისკის შეფასების კოეფიციენტი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო დანკარგი	საბალანსო ღირებულება
მიმდინარე, არა დაგვიანებული	0	3130143.95	0.00	3130143.95
1-30 დღის დაგვიანება	2%	350598.56	7011.97	343586.59
31-60 დღის დაგვიანება	30%	111022.88	33306.86	77716.01
61-120 დღის დაგვიანება	50%	118034.85	59017.42	59017.42
121-180 დღის დაგვიანება	100%	128552.81	128552.81	0.00
180 და მეტი დღის დაგვიანება	100%	298709.97	298709.97	0.00
რესტრუქტურიზებული	30%	70119.71	21035.91	49083.80
სულ		**4207182.73**	**547634.95**	**3659547.78**

2017 წელი 31 დეკემბერი	რისკის შეფასების კოეფიციენტი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო დანკარგი	საბალანსო ღირებულება
მიმდინარე, არა დაგვიანებული	0	2147142.88	0.00	2147142.88
1-30 დღის დაგვიანება	2%	254266.92	5085.34	249181.58
31-60 დღის დაგვიანება	30%	102805.45	30841.64	71963.82
61-120 დღის დაგვიანება	50%	79262.22	39631.11	39631.11
121-180 დღის დაგვიანება	100%	58073.31	58073.31	0.00
180 და მეტი დღის დაგვიანება	100%	144084.59	144084.59	0.00
რესტრუქტურიზებული	30%	39552.63	11865.79	27686.84
სულ		**2825188.00**	**289581.77**	**2535606.23**

6. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრებისგან და ორგანიზაციის სალაროში არსებული ნაშთისაგან. თანხები წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში საანგარიშო თარიღის დღეს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ფული და ფულის ეკვივალენტები	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფული სალაროში ლარი	31907.07	37563.49
ბანკი ლარის ანგარიში	90081.65	235134.13
ბანკი დოლარის ანგარიში	1668.21	3281.47
ჯამი	123656.93	275979.09

7. საგადასახადო აქტივი

გრძელვადიანი საგადასახადო აქტივი

გრძელვადიანი საგადასახადო აქტივი	მთლიანი საბალანსო ღიერებულება	მოსალოდნელი დანკარგი	საბალანსო ღიერებულება
2017 წელს გადახდილი მოგების გადასახადი	134,931.52	13,830.48	121,101.04
2018 წელს გადახდილი მოგების გადასახადი	407,982.48	53,105.72	354,876.76
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობა	**542,914.00**	**66,936.20**	**475,977.80**

საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესულმა ცვლილებებმა, 2017 წლიდან ორგანიზაციის მიერ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები მოგების გადასახდით დაბეგრა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 982 მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

982 მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით ფიზიკურ პირზე ან არარეზიდენტზე სესხის გაცემა არის საქმიანობა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის და იბეგრება მოგების გადასახადით, (გარდა უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე განთავსებული სასესხო ფასიანი ქაღალდის შეძენისა). ეს ქვეპუნქტი არ ვრცელდება კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე.

იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაცია 2019 წლის 06 თებერვლს ეროვნული ბანკს ვიცე-პრეზიდენტის N118 განკარგულების საფუძველზე გახდა სესხის გამცემი სუბიექტი (სგს), 2017 წლის 01 იანვრიდან, 2019 წლის 06 თებერვლამდე პერიოდში ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე გადახდილი აქვს მოგების გადასახადი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 982 მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 982 მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, (თუ მოხდა გაცემული სესხის/გადახდილი ავანსის თანხის დაბრუნება ან გადახდილი ავანსის სანაცვლოდ საქონლის/მომსახურების მიღება, პირი უფლებამოსილია სესხის/ავანსის თანხის დაბრუნების ან საქონლის/მომსახურების ფაქტობრივად მიღების საანგარიშო პერიოდში დაბრუნებული თანხის ან მიღებული საქონლის/მომსახურების საკომპენსაციო თანხის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის ოდენობით ჩაითვალოს და ამ კოდექსით დადგენილი წესით დაიბრუნოს ადრე გადახდილი მოგების გადასახადის თანხა) თუ მოხდება გაცემული სესხის დაბრუნება, ორგანიზავია უფლებამოსილია გადახდილი მოგების გადასახადის თანხა ჩაითვალოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის დადგენილი წესით. ამის გათვალისწინებით ორგანიზაციამ 2017 წლის პირველი იანვრიდან ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე გადახდილი მოგების გადასახადი აღიარა გრძელვადიან საგადასახადო აქტივად, რომელიც შემცირებულია მთლიანი სასესხო პორტფელის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რისკის შეფასების კოეფიციენტით განსაზღვრული მოსალოდნელი დანაკარგებით (მოსალოდნელი საკრედიტო პორტფელის დეფოლტის ალბათობით), რომელიც კორექტირდება ფიზიკურ პირებზე გაცემული ჩამოწერილ და აღდგენილი სესხებით საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

ორგანიზაცია იყენებს მოგების გადასახადის აქტივის სარეზერვო ანგარიშს რათა ჩამოწეროს 2017 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 06 თებერვლამდე გაცემულ სესხებზე გადახდილი მოგების გადასახადის აქტივი თუ დადგება ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

1. სსიპ-აღსრულების ეროვნულმა ბიურომ გვაცნობა, რომ შეასრულა სააღსრულებლო წარმოების კანონით დადგენილი ყველა სავალდებულო პროცედურა.
2. სასამართლო გადაწყვეტილება ვალდებულების გაუქმების შესახებ.

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული აქტივის ჩათვლა მოხდება 2019 წლის მოგების წლიური დეკლარაციის გაანაგრიშებაში, (როგორც PRIVE-ეს საგადასახადო კონსულტანტმა გვაცნობა) ორგანიზაციამ აღნიშნული აქტივი გრძელვადიან საგდასახადო აქტივად აღიარა.

მოგების გადასახადის გაუფასურების ხარჯი

გრძელვადიანი საგადასახადო აქტივის მოსალოდნელი დანაკარგი ორგანიზაციამ აღიარა, როგორც მოგების გადასახადის გაუფასურების ხარჯი, რადგან ორგანიზაციას სახელმწიფო ბიუჯეტში აღნიშნული

აქტივი გადახდილი აქვს როგორ მოგების გადასახადი. მოგების გადასახადის ხარჯი გამოთვლილია მთლიანი სასესხო პორტფელის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რისკების შეფასების კოეფიციენტით, სავარაუდო სესხების დეფოლტის შესახებ, რომელიც კორექტირდება ფიზიკურ პირებზე გაცემული ჩამოწერილ და აღდგენილი სესხებით საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

გადავადებული საგადასახადო აქტივი

ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯები კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის. ასეთი კორექტირებები გამოიწვევს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ასახვას, რომელიც ორგანიზაციას წარმოეშვა 2016 წლის საანგარიშო პერიოდში, რადგან ამ პერიოდში ორგანიზაციისათვის მოგების გადასხადის დაბეგვრის ობიექტს წამოადგენდა საანგარიშო პერიოდში მიღებულ შემოსავალებსა და ხარჯებს შორის სხვაობის ნამრავლი 15%-ზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი	ლარი
გადახდილი მოგების გადასახადი	-8051
თეორიული მოგების გადასახადი	-2358.57
ხარჯები რომლებიც არ გამოიქვითება	**5692.43**

ზედმეტობა ბიუჯეტის მიმართ

ზედმეტობა ბიუჯეტის მიმართ წარმოადგეს ზედმეტად გადახდილ გადასახადს, რომელიც ორგანიზაციას ფუნქციონირების პერიოდში ბიუჯეტის მიმართ ზედმეტობით თანხის გადახდით დაუგროვდა.

8. მიღებული ავანსები (სესხების დასაფარად) და გადახდილი ავანსები

მიღებული ავანსები სესხების დასაფარად წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც გამოწვეულია მსესხებლების მხრიდან სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრულ გრაფიკის დღემდე გადახდილ წინსწრებით თანხას. სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრულ გადახდის დღეს ხდება აღნიშნული თანხის განაწილება ძირითად თანხაზე, სარგებელზე და საურავზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები წარმოადგენს საიჯარო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ წინასწარ გადასახდელ საბოლოო თვის იჯარის თანხებს. შესაბამისად 2017 წლის და 2018 წლის მდგომარეობით გადახდილი ავანსები შეადგენდა 8999 ლარს და 8190,90 ლარს.

9. მიმდინარე და გძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

გძელვადიანი სასესხო ვალდებულებები შედგება შპს კავკასუს კრედიტის ბენეფიციარი მესაკუთრებისგან ნასესხებ ფინანსურ სახსრებისაგან, ხოლო მიმდინარე სასესხო ვალდებულება წამოადგენს გრძელვადიან სასესხო ვალდებულებაზე დარიცხულ გადასახდელ სარგებელს საანგარიშო პერიოდის ბოლოს, რადგან ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდების პერიოდი წარმოადგენს ყოველი თვის 10 რიცხვს, შესაბამისად საანგარიშო პერიოდის ბოლო დღის და ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდების დღის სხვაობა იწვევს მიმდინარე სასესხო ვალდებულებას, რომელიც ორგანიზაციას წარმოეშვება საანგარიშო პერიოდის დასრულების დღეს.

10. საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი მოიცავს გძელვადიან სასესხო ვალდებულებებზე საანგარიშგებო პერიოდის (01 იანვრიდან 31 დეკემბრამდე) განმავლობაში დარიცხულ პროცენტს.

11. საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი შეადგენს საანგარიშგებო პერიოდში (01 იანვრიდან 31 დეკემბრამდე) საკრედიტო ხელშეკრულებებით განსაზღვრული პირობებით სესხების ნარჩენ ძირითად თანხაზე ყოველდღიურად დარიცხული სარგებლის ჯამს.

12. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლები	2018 წელი	2017 წელი
გაცემის საკომისიო	652513.50	322769.98
წინსწრების საკომისიო	8592.53	8462.97
ჯარიმა	557042.37	375769.15
უძრავი ქონების ყიდვა/გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	(4700.00)	(4850.00)
სულ სხვა შემოსავლები	**1213448.40**	**702152.10**

სესხზე შემოსული თანხების განაწილება ხდება შემდგომი თანმიმდევრობით:

1) სესხზე დარიცხული ჯარიმა(ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2) სესხზე დარიცხული პროცენტი;
3) სესხის ძირი;

13. ხელფასები და ბონუსები

ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ორგანიზაციამ დასაქმებულისგან.

ხელფასი	(206,545.05)	(487,235.98)
ბონუსი/პრემია	(42,864.95)	(24,929.41)
დაზღვევა	(3,943.75)	(8,388.19)
სახელფასო ხარჯი სულ	**(253,353.75)**	**(520,553.58)**

14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2018 წელი	2017 წელი
იჯარა	(40,142.14)	(207,263.78)
კომუნალური ხარჯი	(7,606.01)	(23,410.45)
საკონსულტაციო ხარჯი	(3,000.00)	0.00
საკომუნიკაციო ხარჯი	(4,429.09)	(2,822.89)
სარეკლამო ხარჯი	(45,799.37)	(68,917.22)
პროფესიული მომსახურების ხარჯი	(3,909.97)	(38,695.87)
სანოტარო ხარჯი	(116,204.35)	(107,851.01)
მონაცემთა ბაზით სარგებლობის ღირებულება	(76,321.22)	(86,711.03)
იურიდიული მომსახურების ხარჯი	(565.45)	(4,885.98)
სააღსრულებლო მომსახურები ხარჯი	(15,711.94)	(22,405.75)
სასამართლო ხარჯი	(890.43)	(1,374.00)
სარეგისტრაციო მოსაკრებელი	(10,000.00)	0.00
სხვა და სხვა	(7,352.22)	(28,394.73)
ცვეთის ხარჯი	(9,671.66)	(11,447.09)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი სულ	**(341,603.85)**	**(604,179.80)**

- **სანოტარო ხარჯი**

ორგანიზაციაში დანერგილი მიდგომის შესაბამისად, კლიენტის მეტი ინფორმირებულობისა და სამართალურთიერთობის გამჭვირვალობის მიზნით, ყველა სესხის ხელშეკრულება მოწმდება სანოტარო წესით საჯარო აქტით (შინაარსობრივი დამოწმება). რისკი იმისა, რომ ხელშეკრულება ბათილად იქნება ცნობილი კანონსაწინააღმდეგობის გამო, არ არსებობს, ვინაიდან ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს მისი კანონიერება.

- **იჯარის ხარჯი**

იჯარა: 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციას გააჩნდა 4 ფილიალი და სათაო ოფისი.

1) ქ. თბილისი, გივი კარტოზიას ქ. N8, კორპუსი N6, ბინა N3;

2) ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N46/50;
3) ქ. თბილისი, ცაბაძის ქ. N9-9ა;
4) ქ. თბილისი, მეტროს სადგურ „ვარკეთილის“ მოპირდაპირე მხარეს;
5) ქ. თბილისი, გლდანის მასივი, „ა“ მ/რ, N53-სა და N68 კორპუსებს შორის.

2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციას გააჩნდა ერთი ფილიალი და სათაო ოფისი.

1) ქ. თბილისი, გივი კარტოზიას ქ. N8, კორპუსი N6, ბინა N3;
2) ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N46/50;

15. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას.

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის დასრულებული წლისათვის, დამტკიცებულია 2019 წლის 16 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი	_____	გიგა ზაქაიძე
მთავარი ბურალტერი	_____	ლევან ფოფხაძე